

# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## სხდომის ოქმი N25

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

11.10.2018წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -*ალექსანდრე ლილუაშვილი*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი: -*ალექსანდრე ლილუაშვილი*, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, კობა ტოხვაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტყარაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, ოლეგი მიქელთაძე, ივანე კორძაძე, ამირან ტალახაძე, გელა ღვიტიძე, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - *ლუიზა ჯოგლიძე*.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - *ლუბა გოგოძე*.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი-*ივანე მამფორია*;

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს დია სხდომას 14:00 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოლომონ მე-II ქუჩა N59-ში მდებარე რაგბის მოედნისა და ტრიბუნისათვის ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ.“

/მომხს. გელა ჩიკვაძე/

2.,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა, 2018 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით “

/ მომხს. ივანე მამფორია/

*დაადგინეს:* დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

*მოისმინეს:* დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოლომონ მე-II ქუჩა N59-ში მდებარე რაგბის მოედნისა და ტრიბუნისათვის ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2018 წლის 31 ივლისის N11 სხდომის ოქმის მიხედვით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა ბეჟან ხურციძის სახელი მიენიჭოს ვანსი სოლომონ II-ის ქუჩა N59-ში მდებარე რაგბის მოედანსა და ტრიბუნას.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს..

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

*გადაწყვეტის:* დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოლომონ მე-II ქუჩა N59-ში მდებარე რაგბის მოედნისა და ტრიბუნისათვის ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ.“

(დანართი: განკარგულება N27 64)

*მოისმინეს:* დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ ცნობის სახით წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა, 2018 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით“

მომხსენებელმა მოკლე ინფორმაცია გააკეთა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე.

ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2017 წლის 28 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N38 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7100,0 ათასი ლარის ოდენობით. 2018 წლის 9 თვის განმავლობაში ბიუჯეტში 9-ჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 13997.4 ათასი ლარის, გადასახდელები 16843.4 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება -2846.0 ათასი ლარის მოცულობით.

2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 13897.4 ათასი ლარით, ხოლო 9 თვის გეგმა 9187.0 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 8666.5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 62.4%-ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 94.3%-ს შეადგენს.

გადასახდელების 2018 წლის საპროგნოზო მოცულობა 500,0 ათასი ლარით, ხოლო 9 თვის გეგმა 365.0 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული 508.2 ათასი ლარი წლიური გეგმის 101.6% და საანგარიშო პერიოდის გეგმის 139.2%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2018 წლის გეგმა 12866.7 ათასი ლარით, ხოლო 9 თვის გეგმა 8521,6 ათასი ლარით განისაზღვრა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 7834.2 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმა 60.9%-ით, ხოლო 9 თვის გეგმა 91.9%-ით შესრულდა.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 530.7 ათასი, ხოლო 9 თვის 300.4 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 324.1 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 61.1%-ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 107.9%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა 6352.6 ათას ლარს, 9 თვის კი 4910.5 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 4652.8 ათასი ლარი, რაც წლიურად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 73.2-% და საანგარიშო პერიოდის გეგმის 94,8%-ია. დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე

